



# სოფლის მეურნეობა რიცხვებში

2019



# სოფლის მეურნეობა ძირითადი ტენდენციები

თბილისი, 2021 წელი

**პუბლიკაციის მომზადებაში მონაწილეობდნენ:**

ეკატერინე ზვიადაძე  
ალექსანდრე არაბული  
ნინო კულატამიშვილი  
მიხეილ კობახიძე  
თამარ თარაშვილი

**პირობითი აღნიშვნები:**

... ინფრომაცია არ არის ხელმისაწვდომი.  
0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა.

**შენიშვნები:**

ზოგიერთ შემთხვევაში უმნიშვნელო განსხვავება ჯამურ შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

პუბლიკაციაში არსებული მონაცემები არ მოიცავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი).

სტატისტიკური მონაცემების წყაროს წარმოადგენს სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

## შინაარსი


აგროსასურსათო პროდუქციის გამოშვება .....	5
მთლიანი შიდა პროდუქტი.....	6
მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში.....	6
მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ, 2015 წლის ფასებში.....	7
დასაქმება .....	8
ბიზნეს სექტორი .....	9
საგარეო ვაჭრობა .....	12

## აგროსასურსათო პროდუქციის გამოშვება


2019 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში პროდუქციის გამოშვებამ 5.2 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 6.0%-ით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 43.2%-ით აღემატება.

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობების გამოშვების მაჩვენებელში, უდიდესი წილი მოდის სოფლის მეურნეობაზე (2019 წლის მაჩვენებლების მიხედვით - 93%). 2019 წელს, სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქციის გამოშვებამ (პირველადი წარმოება), 4.8 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 282 მლნ ლარით (6%) აღემატება 2018 წლის და 1.7 მილიარდი ლარით (54%) აღემატება 2012 წლის მაჩვენებლებს.

2012 წლიდან 2019 წლამდე, სოფლის მეურნეობის დარგის გამოშვების მაჩვენებლის ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანის და მეცხოველეობის მიმართულებით დაფიქსირებული გამოშვების ზრდის მაღალმა მაჩვენებელმა.



2019 წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 5.7 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 471 მლნ ლარით (9.0%), ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 1.7 მილიარდი ლარით (41.6%) აღემატება. რაც შეეხება 2019 წელს აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვების ზრდას 2018 და 2012 წლებთან მიმართებაში, შესაბამისად 753 მლნ (7.7%) და 3.4 მილიარდი (47.0%) შეადგინა.




## მთლიანი შიდა პროდუქტი

### მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში

2019 წლის მონაცემებით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილი დამატებული ღირებულება, მიმდინარე ფასებში, 3.2 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 187.8 მლნ ლარით (6.2%) აღემატება 2018 წლის და 977.7 მლნ ლარით (43.9%) აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.


2012-2019 წწ პერიოდში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილი დამატებული ღირებულების საშუალო მნიშვნელობა, გაანგარიშებული ამავე სექტორში ერთ დასაქმებულზე, 79%-ით გაიზარდა და 12,936 ლარი შეადგინა.




აღნიშნულ პერიოდში, დამატებული ღირებულების ზრდის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2018 წელს, რაც დიდწილად მემცენარეობის დარგზე, კერძოდ კი მრავალწლოვანი კულტურების წარმოებაზე მოდის.

### მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ, 2015 წლის ფასებში

2019 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ მუდმივ ფასებში 2.7 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 0.7%-ით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 15.3%-ით აღემატება. 2012-2019 წწ, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 52 მლნ ლარს, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპი 2.0%-ს შეადგენს.



2012-2019 წწ პერიოდში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილი დამატებული ღირებულების საშუალო მნიშვნელობა, გაანგარიშებული ამავე სექტორში ერთ დასაქმებულზე, 3,315 ლარით (43%) გაიზარდა და 11,009 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 474 ლარს, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპი 5.4%-ს შეადგენს.



## დასაქმება

2020 წელს საქსტატმა გამოაქვეყნა სამუშაო ძალის გამოკვლევის შედეგები ახალი მეთოდოლოგიით, რომელიც ILO-ს მიერ შემოთავაზებული იქნა 2013 წელს და ოფიციალურად ძალაში შევიდა 2018 წლის ოქტომბერში.


ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, ძირითად ცვლილებას წარმოადგენს თვითდასაქმებული მოსახლეობის გადაკვალიფიცირება, კერძოდ თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებული და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად საკუთარი მოხმარებისთვის (50%-ზე მეტი). აღნიშნული პირები გადაკვალიფიცირდნენ და შეუერთდნენ ან უმუშევართა რაოდენობას ან მოსახლეობას სამუშაო ძალის გარეთ, იმის მიხედვით, ეძებდნენ თუ არა სამუშაოს და მზად იყვნენ თუ არა სამუშაოს დასაწყებად. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ ახალი მეთოდოლოგიით დასაქმებულად აღარ ითვლება შინამეურნეობის წევრი თუ ის უშუალოდ არ არის ჩართული იმ პროდუქციის წარმოებაში, რომელიც გასაყიდად არ არის განკუთვნილი (მაგ: თუ შინამეურნეობა აწარმოებს ვაშლს და 50 %-ს ან მეტს ყიდის, ხოლო ოჯახის სხვა წევრი არ არის ამ პროცესში ჩართული და მხოლოდ ძროხას უვლის რომლისგან მიღებული პროდუქცია არ იყიდება ეს წევრი დასაქმებულთა კატეგორიაში არ გავა, ახალი მეთოდოლოგიის თანახმად)

ახალი სტანდარტის მიხედვით, მონაცემების გადაანგარიშება მოხდა 2010 წლიდან. გადაანგარიშებული მონაცემებიდან ძირითადი ცვლილებები შეეხო სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთა დიდი ნაწილი დასაქმებული იყო სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში.

2019 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობამ 248 ათასი კაცი შეადგინა, რაც ქვეყანაში დასაქმებულთა 19%-ს შეადგენს.




2012-დან 2019 წლამდე, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობა 59.7 ათასი კაცით (19%), ხოლო მათი წილი ქვეყანაში დასაქმებულებში, 6 პროცენტული პუნქტით შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამავე პერიოდში, ქვეყანაში დასაქმებულთა ჯამური რიცხოვნობა 83.7 ათასი კაცით გაიზარდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულები ეტაპობრივად გადადიან სხვა, უფრო მაღალ შემოსავლიან სექტორებში და ქვეყანაში ადგილი აქვს არა მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, აგრეთვე სამუშაო ძალის მოძრაობას.



## ბიზნეს სექტორი


ქვეყანაში იზრდება აგრარული სექტორით ბიზნესწრეების წარმომადგენელთა დაინტერესება. 2019 წელს, საწარმოთა მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, განხორციელდა 4.7 მლრდ ლარის ღირებულების სურსათის, სასმელებისა და თამბაქოს წარმოება, რაც 17%-ით აღემატება 2018 წლის და 103%-ით აღემატება 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2019 წელს, ბიზნეს სექტორის ბრუნვამ, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში 498 მლნ ლარი შეადგინა, რაც 52 მლნ ლარით (12%) აღემატება 2018 წლის და 294 მლნ ლარით (143%) აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2012-2019 წწ, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 42 მლნ ლარს, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპი 14%-ს შეადგენს.



2019 წელს, ბიზნეს სექტორის გამოშვებამ, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში 617 მლნ ლარი შეადგინა, რაც 107 მლნ ლარით (21%) აღემატება 2018 წლის და 383 მლნ ლარით (163%) აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2012-2019 წწ, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 55 მლნ ლარს, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპი 15%-ს შეადგენდა.


მნიშვნელოვანია აღინიშნოს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში, 1 დასაქმებულზე გაანგარიშებული, გამოშვების საშუალო მაჩვენებლის დინამიკა. 2012-დან 2019 წლამდე აღნიშნული მაჩვენებელი 20 ათასი ლარით (69%) გაიზარდა და 48 ათასი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 2.8 ათას ლარს, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპი 9%-ს შეადგენდა. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს ბიზნეს სექტორის მიერ, დარგში ტექნოლოგიების და შესაბამისად, პროდუქტიულობის ზრდაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 2017-2019 წლები, როდესაც სექტორში 1 დასაქმებულზე გაანგარიშებული გამოშვების საშუალო წლიური ზრდის პროცენტული მაჩვენებელი 2 ნიშნა რიცხვი იყო, ამასთან, მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2019 წელს 17%-ს მიაღწია.



2012-2019 წლებში გაიზარდა აგრეთვე ბიზნეს სექტორის წილი სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობების მთლიან გამოშვებაში. 2012-დან 2019 წლამდე, აღნიშნული მაჩვენებელი 6%-დან 12%-მდე გაიზარდა.


2012-დან 2019 წლამდე, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რიცხოვნობა 4.6 ათასი კაცით (56%) გაიზარდა და 2019 წელს 12.8 ათასი კაცი შეადგინა.

2012-დან 2019 წლამდე, დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი საშუალო ყოველთვიური ანაზღაურებაც. აღნიშნულ პერიოდში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური შრომის ანაზღაურება 278 ლარით (66%) გაიზარდა და 2019 წელს 702 ლარი შეადგინა.



დარგში, ბიზნეს სექტორის განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაც. 2013-2019 წლებში, ბიზნეს სექტორის მიერ ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ 913 მლნ ლარი შეადგინა.

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობით ბიზნეს სექტორის მზარდ ინტერესზე მიუთითებს საქონლისა და მომსახურების ყიდვების მაჩვენებლებიც. კერძოდ, 2019 წელს, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 404 მლნ ლარი შეადგინა, რაც 248 მლნ ლარით (159%) აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.



## საგარეო ვაჭრობა

2019 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 888.9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 8.0%-ით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე, თუმცა 74.1%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2019 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში 23%-ს შეადგენს. ძირითადად ექსპორტირებულია: ღვინო (25%), მინერალური და მტკნარი წყლები (15%), სპირტიანი სასმელები (14%), თხილი (8%), სიგარეტი (6%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (3%) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, სიგარეტისა და თამბაქოს (ძირითადად რეექსპორტი) გარეშე, აგროსასურსათო პროდუქციის მთლიანი ექსპორტი, 13.2 მლნ აშშ დოლარით (2%) არის გაზრდილი.


2019 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან 96 ქვეყანაში განხორციელდა.

2019 წლის მონაცემებით, საქართველოში იმპორტირებულია 1.25 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 8%-ით ნაკლებია 2018 წლის


მაჩვენებელზე. აღსანიშნავია უკანასკნელ წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტის წილის მნიშვნელოვანი ზრდა მთლიან იმპორტში.

2019 წელს, ქვეყნის მთლიან იმპორტში, აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 13.2%-ს შეადგენს. ძირითადად იმპორტირებულია: ხორბალი (9%), სიგარეტი (8%), შინაური ფრინველის ხორცი (5%), შოკოლადის ნაწარმი (4%), შაქარი (4%), საკვები დანამატები (3%), ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი (3%), მცენარეული ზეთი (3%), სპირტიანი სასმელები (3%) და სხვა. აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი განხორციელდა 106 ქვეყნიდან.


2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სავაჭრო სალდო შემცირდა 7%-ით და 363 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება 2012-2019 წლების პერიოდს, აღნიშნული მაჩვენებლის უარყოფითი მნიშვნელობა განახევრდა (2012 წელს, აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სავაჭრო სალდო (-753) მლნ აშშ დოლარს შეადგენდა).




**ძირითადი საექსპორტო ბაზრები აგროსასურსათო პროდუქციისათვის**  
(2019 წელი)




**აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები**  
(2019 წელი)



**ძირითადი სასაქონლო პოზიციები აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში**  
(2019 წელი, მილიონი აშშ დოლარი)




**ძირითადი სასაქონლო პოზიციები აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტში**  
(2019 წელი, მილიონი აშშ დოლარი)



2019 წლის მონაცემებით, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულია 130 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 12%-ით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 22%-ით აღემატება. 2019 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში ძირითადად ექსპორტირებულია: თხილი, როგორც პირველადი, ასევე გადამუშავებული სახით (43%), სპირტიანი სასმელები (16%), ღვინო (16%), მინერალური წყლები (12%) და სხვა.

2019 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებულია 291 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 4%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან იმპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილი შეადგენს 23%-ს. ძირითადად იმპორტირებულია: სპირტიანი სასმელები (9%), შაქარი (8%), საკვები დანამატები (7%), ფრინველის ხორცი (7%), ცხოველების საკვები (5%), კარაქი (4%), შოკოლადის ნაწარმი (4%) და სხვა.

**ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქცია**  
( 2019 წელი, მილიონი აშშ დოლარი)



ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტირებული აგროსასურსათო პროდუქცია  
(2019 წელი, მილიონი აშშ დოლარი)

